ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3984307

ნომერი: AR1604239

თარიღი : 28.05.2018

გაცემის თარიღი : 29.05.2018

გაცნობის თარიღი : 29.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი აბანოს , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დან ნახუმ პ/ნ 01017036708
- თბილისი მისამართის გარეშე

ორგანიზაცია:
- შპს "დან დიურ ჰოლდინგი" კოდი: 2038855104

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს"დან დიურ ჰოლდინგი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 2038855104
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დან ხანუმ
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017036708

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კახაბერ დეკანოიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატივრთული 2018 წლის 28 მაისის AR1604239 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, აბანოს I შესახვევში კიბე-ქუჩის (მეგლი) რეკონსტრუქციის ნებართვის გაცემის საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. განცხადების რეგისტრაციისას რუკაზე მონიშნული უნდა იყოს აბანოს I შესახვევი - კიბე-ქუჩა. აღნიშნული ქმედების განხორციელების მიზნით სამსახურის მიერ ჩართულია რუკის ცვლილების უფლება;
2. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურულ პროექტში არ არის:
- განმარტებითი ბარათი ჩასატარებელი სამუშაოების აღწერით;
- გენგეგმა საკადასტრო საზღვრების დატანით, სარეკონსტრუქციო არეალის მონიშვნით, ასევე, არსებობის შემთხვევაში ხაზობრივი ნაგებობების დატანით;
- ფოტომონტაჟებზე მითითებული იქნეს მასალა;
- დონეთა ვარდნის მონაკვეთებში წარმოდგენილი იქნეს პროფილური, ვერტიკალური ჭრილებით; ვერტიკალური გეგმარების ნახაზით, სადაც ნაჩვენები იქნება გრუნტის და მოპირკეთების საპროექტო ნიშნულები;
3. წარმოდგენილი იქნეს ისტორიულ-არქიტექტურული ანალიტიკური ინფორმაცია (სახელოვნებთმცოდნეო კვლევა) არსებული კიბე-ქუჩისა და პროექტით წარმოდგენილი ცვლილების შეფასება-რეკომენდაციებით;
4. წარმოდგენილი იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.